

# საქართველოში კარტოფიდის საერთაშორისო ცენტრის (CIP) წარმომადგენლობა გაიხსნა



კარტოფიდის საერთაშორისო ცენტრის (CIP) საქართველოს წარმომადგენლობა ოფიციალურად გაიხსნა. გახსნის ცერემონიას სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე,

იური ნობაძე, სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილე, ნოდარ ხატიაშვიდი და კარტოფიდის საერთაშორისო ცენტრის მთავარი ოპერაციული ოფიცერი, მაიკლ გერბა დაესწრნენ. საერთაშორისო ცენტრის რეგიონალურმა დიდერმა ცენტრალურ აზიასა და კავკასიაში, რუსუდან მდივანმა, საქართველოს წარმომადგენლობის მნიშვნელობაზე, მათ მიერ განხორციელებულ პროექტებსა და სამომავლო გეგმებზე ისაუბრა.

ღონისძიებაზე ყურადღება დაეთმო კარტოფიდის საერთაშორისო ცენტრის და სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლობის განხილვას, ერთობლივ პროექტებსა და საერთო ხედვებს. როგორც სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ აღნიშნა, მეკარტოფიდეობა საქართველოში პერსპექტიური დარგია და ამ მიმართულებით საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში კარტოფიდის წარმოება მზარდი ტენდენციებით ხასიათდება. წედს ფერმერებმა უხვი მოსავალი მიიღეს და მეზობელ ქვეყნებში, კარტოფიდის ექსპორტის ოდენობაც გაზარდეს. საქართველოში კარტოფიდის წარმოების დიდი წილი სამცხე-ჯავახეთის რეგიონზე მოდის და ქვეყნის მთლიან წარმოებაში 64%-ს შეადგენს, რაც კარტოფიდის წარმოების მაღალი მაჩვენებელია.

წერს ექსპორტზე გატანილი კარტოფილი 35 ათას ტონას გადააჭარბა, რაც წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 7-ჯერ არის გაზრდილი. მაღარი ხარისხის პროდუქციაზე მოთხოვნა შიდა ბაზარზეც დიდია. ფერმერების თქმით, ექსპორტისა და შიდა ბაზარზე მოთხოვნის გაზრდას ფასების გაორმაგება მოყვა, რამაც მათი შემოსავალი 2-ჯერ გაზარდა.



რამდენიმე წერიწადში სერტიფიცირების სრულყოფილი სისტემა ამოქმედდება. კანონი თესვის სერტიფიცირების შესახებ უკვე ძალაშია და დაწყებულია რამდენიმე ფერმერული მეურნეობის ნებაყოფლობითი სერტიფიცირება. ეს კი, ფერმერებს ეხმარებათ, რომ ხარისხიანი სათესლე მასალა გამოიყენონ და ხარისხიანი პროდუქტიც მიიღონ.

ოფიციალური ნაწილის დასასრულს ავსტრიის განვითარების სააგენტოს საქართველოს ოფისის ხელმძღვანელმა, გერჰარდ შაუმბერგერმა წარადგინა ავსტრიის რესპუბლიკის მიერ დაფინანსებული პროექტი „საქართველოში სოფლად საარსებო საშუალებების გაძლიერება: ჯანსაღი თესვის წარმოების ინტეგრირებული მიდგომის დანერგვა კარტოფლის ადგილობრივი თესვით წარმოების სისტემაში“. პროექტის ფარგლებში 14 ოქტომბრამდე გაიმართება ვორქშოპები, რომელსაც დარგის სპეციალისტები და მწარმოებლები დაესწრებიან.

კარტოფლის საერთაშორისო ცენტრის საქართველოს წარმომადგენლობის გახსნის წინაპირობას 2016 წერს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით ცენტრთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გახდა. მემორანდუმის ფარგლებში ქვეყანაში მეკარტოფილეობის დარგში არსებულ პრობლემატიკაზე დაყრდნობით

შემუშავდა ხუთწრიანი პროგრამა, რომელიც საქართველოში მეკარტოფიერების დარგის განვითარებას შეუწყობს ხელს.

კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის წარმომადგენლობა საქართველოში გახდება რეგიონალური ოფისი, საიდანაც დაიფარება ცენტრალური აზიისა და კავკასიის ქვეყნები, კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი საქართველოში დანერგავს კარტოფილის მოვლა-მოყვანის ინოვაციურ ტექნოლოგიებს და წარადგენს ახალ პერსპექტიურ ჯიშებს, აგრეთვე აამაღლებს მეკარტოფიერების სექტორში მოღვაწე მეცნიერების, ფერმერების და მწარმოებლების ცოდნას.

კარტოფილის საერთაშორისო ცენტრი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო კვლევების საერთაშორისო საკონსულტაციო ჯგუფის (CGIAR) წევრ საერთაშორისო ორგანიზაციას, რომელიც მისივე ინიციატივით 1971 წელს დაარსდა. კარტოფილის საერთაშორისო ცენტრის მისიაა ითანამშრომლოს პარტნიორებთან სასურსათო უსაფრთხოების მისაღწევად, შეჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად და გენდერული თანასწორობის დასაცავად, სასოფლო-სამეურნეო კვლევებისა და ინოვაციების განვითარება-დანერგვის გზით.